

სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სამართაშორისო აკადემია
პოლიტიკური მენეჯმენტის სამართაშორისო აკადემია
იურიდიულ მეცნიერებათა სამართაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF SOCIAL-ECONOMIC SCIENCES
INTERNATIONAL ACADEMY OF POLITICAL MANAGEMENT
INTERNATIONAL ACADEMY OF JURIDICAL SCIENCES

МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები

*XXXI სამართაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალები*

ACTUAL PROBLEMS OF STATE MANAGEMENT

*MATERIALS OF XXXI INTERNATIONAL
SCIENTIFIC CONFERENCE*

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ

*МАТЕРИАЛЫ XXXI МЕЖДУНАРОДНОЙ
НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ*

(02.04.2019)

თბილისი
Tbilisi Тбилиси
2019

უპკ (UDC; УДК) 1+32+33+34+35
ს-352 А-19 А-437

სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები.

XXXI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (02.04.2019).

თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2019. – 88 გვ.

ACTUAL PROBLEMS OF STATE MANAGEMENT.

MATERIALS OF XXXI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE (02.04.2019).

Tbilisi: International Publishing House “Progress”, 2019. – 88 p.

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ.

МАТЕРИАЛЫ XXXI МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ (02.04.2019).

Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2019. – 88 с.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თავმჯდომარე
ირაკლი გაბისონია (თბილისი, საქართველო) – თანათავმჯდომარე
ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თანათავმჯდომარე
ედუარდ კორიტსკი (ჰამბურგი, გერმანია) – წევრი
სლავომირ პარტიცკი (ლუბლინი, პოლონეთი) – წევრი

ORGANIZATION COMMITTEE OF THE CONFERENCE:

ALFRED KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CHAIRMAN
IRAKLI GABISONIA (TBILISI, GEORGIA) – CO-CHAIRMAN
ANZOR KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CO-CHAIRMAN
EDUARD KORITSKY (HAMBURG, GERMANY) – MEMBER
SLAWOMIR PARTYCKI (LUBLIN, POLAND) – MEMBER

ОРГАНИЗАЦИОННЫЙ КОМИТЕТ КОНФЕРЕНЦИИ:

АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА
ИРАКЛИЙ ГАБИСОНИЯ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – СОПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА
АНЗОР КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – СОПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА
ЭДУАРД КОРИЦКИЙ (ГАМБУРГ, ГЕРМАНИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА
СЛАВОМИР ПАРТЫЦКИЙ (ЛЮБЛИН, ПОЛЬША) – ЧЛЕН КОМИТЕТА

სამეცნიერო რედაქტორი – ალფრედ კურატაშვილი

SCIENTIFIC EDITER – ALFRED KURATASHVILI

НАУЧНЫЙ РЕДАКТОР – АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ

რეგენზენტები:

მიხეილ როკეტლიშვილი (ნიუ-იორკი, აშშ) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი
ოქსანა სოლდატენკო (კიევი, უკრაინა) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი

REVIEWERS:

MIKHAIL ROKETLISHVILI (NEW YORK, USA) – DOCTOR OF SC., PROFESSOR, ACADEMICIAN
OKSANA SOLDATENKO (KIEV, UKRAINE) – DOKTOR OF SC., PROF., ACADEMICIAN

РЕЦЕНЗЕНТЫ:

МИХАИЛ РОКЕТЛИШВИЛИ (НЬЮ-ЙОРК, США) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК
ОКСАНА СОЛДАТЕНКО (КИЕВ, УКРАИНА) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК

© ალფრედ ანზორის ძე კურატაშვილი, 2019
ALFRED A. KURATASHVILI, 2019
АЛЬФРЕД АНЗОРОВИЧ КУРАТАШВИЛИ, 2019

ISBN 978-9941-9454-6-5

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**კანონსაწინააღმდეგოდ და
დანაშაულებრივად
ჩატარებული არჩევნები
მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში,
რაც ”ტრადიციად” ქცეული
უღაგო ფაქტია (!?)**

**დაუსჯელობით გათავხედებულ თანამდებობის პირთა
კრიმინალური ქმედებების ბატონობის პირობებში –
სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარება
შეუძლებელი და მიუღწევადია (!?)**

ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და ჭეშმარიტად ადამიანურ სახელმწიფოში, ანუ ჰუმანოსოციალურ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში, რომელიც ყოველი ადამიანის სამართლიან ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა – უპირველესი ამოცანა უნდა იყოს – ხალხის ინტერესების უზენაესობის უზრუნველყოფა [1; და სხვა], რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარება, მაგრამ რაც დაუსჯელობით გათავხედებულ თანამდებობის პირთა კრიმინალური ქმედებების ბატონობის პირობებში შეუძლებელი და განუხორციელებადია.

ამასთან, განსაკუთრებით საგანგაშოა კანონსაწინააღმდეგო და კრიმინალური ქმედებები მეცნიერების უმაღლეს ემულონებში, რაც ფაქტობრივად ორგანიზებულ დანაშაულს წარმოადგენს და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უმკაცრეს სამართლებრივ რეაგირებას მოითხოვს.

კერძოდ, სრულიად საგანგაშოა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას წარმოადგენს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში კანონსაწინააღმდეგოდ და დანაშაულებრივად ჩატარებული არჩევნები აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩევასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, რაც, სამწუხაროდ, უკვე ”ტრადიციად” ქცეულ უღაგო ფაქტს წარმოადგენს (!!).

* * *

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად აღვნიშნავ შემდეგს:

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამოცხადდა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) არჩევნები.

მათ შორის, გამოცხადდა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) ასარჩევად საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში 1 ვაკანსია სპეციალობით: „პოლიტოლოგია, ფილოსოფია“ (ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ გამოცხადდა 1 ვაკანსია სპეციალობით: “პოლიტოლოგია, ფილოსოფია“, და არა “პოლიტოლოგია” ან “ფილოსოფია“), რაზედაც შემდეგ გავამახვილებ ყურადღებას.

აღნიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მოთხოვნა და აკადემიკოსად არჩევის ის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“.

კერძოდ, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) „შეიძლება არჩეულ იქნეს... მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში“ [2], რაც ასახულია აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) 2018 წლის არჩევნების დროებითი დებულების მე-6 პუნქტში [3], და რაც სრულიად სამართლიან სამართლებრივ მოთხოვნას წარმოადგენს.

ამასთან, კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ ვისაც პრეტენზია აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობაზე, კარგად უნდა გააცნობიეროს, *უპირველეს ყოვლისა*, შემდეგი:

იმისათვის, რომ პირი დაშვებული იქნეს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები, რომლებსაც ფუნდამენტური – უდავოდ საერთაშორისო – მნიშვნელობა აქვს, ანუ რითაც მის ავტორს შეტანილი აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი მეცნიერების განვითარებაში.

სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, სრულიად სამართლიანად წერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (აშშ, ნიუ-იორკი), რომელიც აკადემიის პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ წერილში (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში რეგისტრირებულია 8.11.18 წელს №7-124/77) ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე:

„ჩემთვის, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრისთვის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება), მეტად მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით, როგორც იურისტისთვის), რომ კანონის შესაბამისად 2018 წლის დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) სპეციალობით: „პოლიტოლოგია, ფილოსოფია“ არჩეული იქნეს მეცნიერი, რომელსაც შეტანილი აქვს საერთაშორისო დონის წვლილი მეცნიერების განვითარებაში

(საქართველოს კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 2), რამეთუ ის კანდიდატურა, რომლის წარდგენაში და მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებაში არ არის დაფიქსირებული ამ კანდიდატის მიერ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი მეცნიერების განვითარებაში, განხილვასაც კი არ უნდა დაექვემდებაროს, რადგან ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და მეცნიერების შეურაცხყოფა იქნება, რაც უდავოდ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ”.

შემდეგ კი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღნიშნული უცხოელი წევრი (აშშ, ნიუ-იორკი) თავის წერილში გამოხატავს სრულ მხარდაჭერას ერთი კონკრეტული კანდიდატისადმი – “მის მიერ პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და მეცნიერული თეორიების შექმნისათვის..., რომლითაც მან უდავოდ შეიტანა საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი მეცნიერების განვითარებაში, ... და რომელიც არის ასეულობით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ავტორი, მათ შორის, უცხოეთში“.

ამრიგად, *სწორედ ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და ახალი მეცნიერული თეორიების შექმნა წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში, ხოლო სხვისი (თუნდაც გენიოსების) იდეების „პროპაგანდა“ და მათი იდეების „კომენტირება“ (რასაც ხშირად აქვს ადგილი), სულაც არ ნიშნავს თითქოსდა აღნიშნული „პროპაგანდისტის“ მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში, რაზედაც სამართლიანად ამახვილებს აგრეთვე ყურადღებას აკადემიის პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ წერილში ცნობილი უკრაინელი მეცნიერი (ინსტიტუტის დირექტორი), სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოლენა ალენიკოვა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წერილი რეგისტრირებულია 8.11.18 წელს №7-124/72).*

ანალოგიურ პოზიციას გამოხატავენ აგრეთვე სხვა უცხოელი მეცნიერები, აკადემიის პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ წერილებში, მაგრამ სრულიად უშედეგოდ (?!).

პირიქით, თუმცა აკადემიის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ კანონებს კარგად იცნობენ, მაგრამ, *მიუხედავად მათადმი არაერთი მიმართვისა, კანონსაწინააღმდეგოდ აკეთებენ იმას, რაც მათ თვითონ “სურთ” (?!).*

იქმნება შთაბეჭდილება, რომ აკადემიის ხელმძღვანელები კანონმდებლობის სრული უგულვებელყოფით აკეთებენ იმას, რაც “მოესურვებათ”, ხოლო მათადმი არაერთი კანონიერი მოთხოვნის შემთხვევაში, მოქმედებენ “პრინციპით”: “ძალდი ყვეს, ქარავანი მიდის” (?!).

გასაკვირია, მაგრამ უდავო ფაქტია (?!).

აკადემიაში ზემოაღნიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ასევე შემდეგი:

უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის კანონმდებლობის თანახმად უდავო და აუცილებელია, რომ პირს ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის სტაჟი, რის გარეშეც პირის კანდიდატურა (და მისი საბუთები) აღმიშნული თანამდებობის დასაკავებლად არ განიხილება, რამეთუ “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 35, პუნქტი 1, ქვეპუნქტი “ა”) – “პროფესორის თანამდებობაზე... შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება...” [4].

ანალოგიურად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაში, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად [2], სრულიად დაუშვებელია, რომ აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩევნებში მონაწილეობისათვის დაშვებული იქნეს პირი, რომელსაც არა აქვს შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, რაც ასახული (დაფიქსირებული) უნდა იყოს მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ანუ აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩევნებში მონაწილეობისათვის კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება დაშვებული იქნეს პირი, რომელსაც არა აქვს შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები.

ამასთან, არა მარტო კანონსაწინააღმდეგოა, არამედ მეცნიერთა (განსაკუთრებით კი, აკადემიკოსთა) მხრიდან აგრეთვე სამარცხვინოა, როდესაც მათ “ჰკონიათ” (ანდა ვითომ “ჰკონიათ”), რომ თითქოს პირის მიერ უცხოეთში კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლა და/ან იქ ნაშრომის (სტატიის და ა.შ.) გამოქვეყნება თავისთავად “ნიშნავს” ამ პირის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში, რასაც აკადემიაში შესაძლოა იმიტომ აკეთებენ, რათა კანონსაწინააღმდეგოდ აირჩიონ აკადემიკოსად მათთვის “სასურველი” პირი, რომელსაც არა აქვს შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, და, გარდა ამისა, რათა “გამართლონ” (“გათეთრონ”) აკადემიაში კანონსაწინააღმდეგოდ უკვე არჩეული იმ აკადემიკოსების “აკადემიკოსობა”, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში (!!).

სინამდვილეში კი, უცხოეთში ნაშრომის (სამეცნიერო სტატიის და ა.შ.) გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა უცხოეთში სამეცნიერო ნაშრომის (ნაშრომების) გამოქვეყნება საერთოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს გამოქვეყნება (მათ შორის, მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში) მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში, როდესაც მასში ასახულია ავტორის მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები, რომლებითაც ხდება მსოფლიო მეცნიერების განვითარება.

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუმცა უცხოეთში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება ადასტურებს პირის მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში, მაგრამ მეცნიერების განვითარებაში მის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილის შეტანის გარეშე (!!).

ამრიგად, ყველას კარგად უნდა ესმოდეს (მით უმეტეს, მეცნიერებათა აკადემიაში), რომ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში წარმოადგენს ავტორის მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები.

სწორედ მეცნიერული შემოქმედების სიღრმისეულ პრობლემებთან დაკავშირებით, მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ – *ჯერ კიდევ 2009 წელს, ანუ მაშინ, როდესაც სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიასთან სადავო არაფერი არ მქონდა* – სრულიად საფუძვლიანად აღვნიშნავდი შემდეგს:

”ისევე, როგორც
ადამიანის მსგავსი მაიმუნი –
ადამიანი არ არის,
მეცნიერის მსგავსი ადამიანი –
მეცნიერი არ არის” [5, გვ. 54].

გარდა ამისა, მეცნიერების მწვავე პრობლემებთან დაკავშირებით შემდეგ უკვე ვწერდი:

”იმ ადამიანს, რომელიც ჭეშმარიტი მეცნიერი არ არის, *მაგრამ რომელსაც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით მეცნიერებაში გარკვეული უფლებები გააჩნია*, იმდენი გონიერება და სინდისი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ არამეცნიერი – ჭეშმარიტ მეცნიერთან არ ”გაათანაბროს”, რამეთუ, ჩემი ღრმა რწმენით:

ისევე, როგორც ქათმის წიწილა ან კურდღლის ბაჭია –
თავისი ფიზიკური ძალით ვერ შეედრება ვეფხვს,
არამეცნიერი, თუნდაც მეცნიერის მსგავსი ადამიანი –
ვერ შეედრება და ვერ გაუთანაბრდება
ჭეშმარიტ მეცნიერს (!)” [6, გვ. 4].

რაც შეეხება იმის კიდევ ერთხელ დადასტურებას, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში წარმოადგენს მხოლოდ ავტორის მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები, მოვიყვან რამდენიმე ცნობილ და საყოველთაოდ აღიარებულ მაგალითს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ:

არისტოტელეს წვლილთან დაკავშირებით მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში ვკითხულობთ შემდეგს:

”არისტოტელე არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელმაც არა მხოლოდ შექმნა ყოვლისმომცველი ფილოსოფიური სისტემა, არამედ აგრეთვე გავლენა მოახდინა მრავალი სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბებაზე: სოციოლოგია, ლოგიკა, ფიზიკა, ქიმია. მისი შრომები გამოიყენებოდა მისი სიკვდილის შემდეგ მრავალი ასწლეულის განმავლობაში” [7], ანუ არისტოტელეს წვლილი მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში მდგომარეობს მის მიერ ყოვლისმომცველი ფილოსოფიური

სისტემის შექმნაში და გავლენის მოხდენაში ძრავალი სამეცნიერო მიმართულებების ჩამოყალიბებაზე.

ადამ სმიტის წვლილთან დაკავშირებით მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში აგრეთვე აღნიშნულია მის მიერ მეცნიერული აღმოჩენა და ახალი თეორიის შექმნა:

"ა. სმიტის წვლილი მსოფლიო ეკონომიკური თეორიის განვითარებაში იყო ბაზრის "უხილავი ხელის" ფენომენის აღმოჩენა...

ადამ სმიტმა დიდი წვლილი შეიტანა საორგანიზაციო მეცნიერებაში მისი თეორიების განვითარებით. ორგანიზაციულ მეცნიერებაში ყველაზე მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ხელფასის თეორია და შრომის განაწილება" [8].

მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში ცნობილ უკრაინელ მეცნიერთა წვლილთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

"დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ფიზიკის განვითარებაში ბერლინში კრისტალოფიზიკის ინსტიტუტის დამფუძნებელმა და დირექტორმა, ტ. შვეჩენკოს სახელობის სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრმა, ოსტაპ სტასივმა.

მან გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი, „რომლითაც დაიწყო ახალი მიმართულება მყარი სხეულის ფიზიკაში“ [9].

"შეუძლებელია არ გავიხსენოთ უკრაინის გამოჩენილი მეცნიერი და პატრიოტი, რომლის სახელითაც მსოფლიოც ამაყობს. ეს ოლეგ ბილანიუკია. ის ბილანიუკი, რომელმაც 60-იან წლებში გაბედა ა. აინშტაინისა და მეცნიერთა მთელი თაობის ავტორიტეტის ხელყოფა... ამგვარად მან საფუძველი ჩაუყარა თეორიული ფიზიკის ახალ დარგს" [9].

რაც შეეხება მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარებაში რუსეთის მეცნიერთა წვლილს, ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„რუსეთის ეკონომისტთა შორის გამოიჩინა მ.ი. ტუგან-ბარანოვსკი (1865-1919). მან გამოიკვლია ბაზრის ფუნდამენტური პრობლემები, ...

მეცნიერმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ეკონომიკური ციკლის თეორიის განვითარებაში“ [10].

„ტუგან-ბარანოვსკიმ შეიმუშავა ახალი სისტემური მიდგომა ეკონომიკური კრიზისების და მათი მიზეზების არსის დასაბუთებისათვის. მან პირველად ჩამოაყალიბა ციკლის საინვესტიციო თეორიის ძირითადი კანონი“ [10].

„რუსული ეკონომიკური აზრის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი სამართლიანად ეკუთვნის ა.ვ. ჩაიანოვს – შეიმუშავა გლეხური მეურნეობის საოჯახო-შრომითი კონცეფცია, სასოფლო-სამეურნეო კოლპერაციის თეორია“ [10].

„ნ.დ. კოდრატიევი (1892-1938) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემების შემუშავებაში. ის შევიდა ეკონომიკური აზრის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, კონიუნქტურის არსის გამოვლენის და ეკონომიკური განვითარების თეორიის შემუშავების გამო...“ [10].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცნობილ მეცნიერთა მიერ მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში წარმოადგენს მხოლოდ ავტორის მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა ჩემს მიერ, კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივ – ქმედებას წარმოადგენს იმ პირთა დაშვება აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩევნებში მონაწილეობისათვის, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში.

ამასთან, მათ მიერ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი მეცნიერების განვითარებაში ასახული უნდა იყოს წარმოდგენილ დოკუმენტებში.

მასასადამე, აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩევნებში მონაწილეობისათვის კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება დაშვებული იქნეს პირი, რომელსაც არა აქვს შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები.

ხოლო აკადემიკოსობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად იმ პირთა კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – დაშვების შემთხვევაში, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, ანუ რომლებსაც არა აქვთ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები, არჩევნების შედეგები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ამასთან, არჩევნების შედეგები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი იმ შემთხვევაშიც, თუ ვაკანსიაზე კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – დაშვებული აკადემიკოსობის კანდიდატების მონაწილეობით ჩატარებული არჩევნები ჩაიშალა, რამეთუ ამ შემთხვევაში ჩატარებული არჩევნების და მისი შედეგების კანონიერების და სამართლიანობის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შემდეგ კი, ამ არჩევნებში მონაწილეთა რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნან კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – დაშვებული პირები, ანუ ის პირები, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, და მათი რეგისტრაციიდან მოხსნის (მათი რეგისტრაციის ბათილად ცნობის) მომენტიდან ხელახლა უნდა ჩატარდეს, უფრო ზუსტად კი, უნდა გაგრძელდეს იგივე არჩევნები, მაგრამ მხოლოდ კანონიერად უკვე დარეგისტრირებულ მეცნიერთა მონაწილეობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ რეგისტრირებულ პირთა რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე უარი, რომლებიც არ არიან პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და მეცნიერული თეორიების შემქმნელი – არა მარტო კანონსაწინააღმდეგოდ ქმედება და მეცნიერების შეურაცხყოფა, არამედ აგრეთვე მეცნიერების დაცინვა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება იქნება, რაც მრავალგვარ საფუძველიან ეჭვებს გამოიწვევს (?!).

* * *

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი აკადემიკოსობის იმ მსურველთა რეგისტრაცია, რომლებიც კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – გაატარეს აკადემიაში რეგისტრაციაში აკადემიკოსობის 1 ვაკანსიაზე სპეციალობით: „პოლიტოლოგია, ფილოსოფია“, მაგრამ რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, თანაც ერთდროულად – როგორც პოლიტოლოგიაში, ისე ფილოსოფიაში (?!).

სხვაგვარად წარმოუდგენელია და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს სამართლებრივი მსჯელობა ამ საკითხზე, რამეთუ აკადემიაში ეს 1 ვაკანსია გამოცხადდა სპეციალობით: „პოლიტოლოგია, ფილოსოფია“, და არა „პოლიტოლოგია“ ან „ფილოსოფია“, რაც სამართლებრივად და ლოგიკურად იმაზე მეტყველებს და იმას ადასტურებს, რომ არჩევნებში მონაწილეობისათვის აკადემიკოსობის მსურველს მოცემულ შემთხვევაში შეტანილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, ერთდროულად პოლიტოლოგიაშიც და ფილოსოფიაშიც, რამეთუ ვისაც აირჩევენ აკადემიკოსად, ის არჩეული იქნება 1 ვაკანსიაზე სპეციალობით: „პოლიტოლოგია, ფილოსოფია“, და არა მხოლოდ სპეციალობით – „პოლიტოლოგია“, ან მხოლოდ სპეციალობით – „ფილოსოფია“.

ამიტომ, *ჯერ-ერთი*, იმ პირთა დაშვება არჩევნებში მონაწილეობისათვის აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად), რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, ანუ რომლებსაც არა აქვთ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები, წარმოადგენს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – ქმედებას, *კერძოდ კი*, წარმოადგენს მათ მიერ სამსახურებრივი (*თანამდებობრივი*) უფლებამოსილების გადამეტებას და სამსახურებრივი (*თანამდებობრივი*) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, *რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე* [11, მუხლი 332, ნაწილი 3, ქვეპუნქტი “გ”; მუხლი 333, ნაწილი 3, ქვეპუნქტი “გ”].

და, *მეორეც*, იმ პირთა სრულიად უსაფუძვლოდ დაშვება არჩევნებში მონაწილეობისათვის აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) 1 ვაკანსიაზე სპეციალობით: „პოლიტოლოგია, ფილოსოფია“, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში ერთდროულად, როგორც პოლიტოლოგიაში, ისე ფილოსოფიაში, ასევე წარმოადგენს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – ქმედებას, *კერძოდ კი*, წარმოადგენს მათ მიერ სამსახურებრივი (*თანამდებობრივი*) უფლებამოსილების გადამეტებას და სამსახურებრივი (*თანამდებობრივი*) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, დაზარალებულის პირადი ღირსების

შეურაცხყოფით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე [11, მუხლი 332, ნაწილი 3, ქვეპუნქტი “გ”; მუხლი 333, ნაწილი 3, ქვეპუნქტი “გ”].

ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება ზემოაღნიშნულ და სხვა არაერთ კრიმინალურ ქმედებაზე, *ჯერ-ერთი*, იმიტომ, რომ ადგილი არ ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაულის დაფარვას, რაც ასევე სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას წარმოადგენს, და, *მეორეც*, იმიტომ, რომ აღმოიფხვრას კრიმინალური ქმედებები მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია გამახვილდეს ყურადღება აკადემიის ხელმძღვანელთა მხრიდან სრულიად უსაფუძვლო მცდელობაზე გაამართლონ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები შემდეგ ვითომდა ”არგუმენტზე” აპელირებით:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში „აცხადებენ“, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) 2018 წლის არჩევნების დროებითი დებულების თანახმად (პუნქტი 17): „აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატის შერჩევისას განყოფილებათა საერთო (გაერთიანებულ) კრებაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნება ყველა რეგისტრირებული კანდიდატი ანბანური წესით“ [3] (!!).

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ზემოთ აღნიშნული მიდგომა სრულიად კანონიერი იქნებოდა იმ შემთხვევაში, აკადემიაში რომ არ ატარებდნენ რეგისტრაციაში იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო – ფუნდამენტური – დონის წვლილი მეცნიერების განვითარებაში, მაგრამ ვინაიდან ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რაც გამოიხატება იმ პირთა რეგისტრაციაში, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო – ფუნდამენტური – დონის წვლილი მეცნიერების განვითარებაში, აღნიშნული დებულება წინააღმდეგობაში მოდის კანონის მოთხოვნასთან (!!).

ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუქმდეს აკადემიკოსობის კანდიდატთა ყველა კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელებული რეგისტრაცია, რადგან აღნიშნული დებულების“ მე-17 პუნქტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის კანონის მოთხოვნასთან, რის გამოც მას იურიდიული ძალა არა აქვს, ხოლო „დროებით დებულების“ მე-17 პუნქტის ბოლოს უნდა დაისვას მძიმე და მას უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „რომელსაც შეტანილი აქვს საერთაშორისო – ფუნდამენტური – დონის წვლილი მეცნიერების განვითარებაში“, რათა აღიკვეთოს აკადემიაში არჩევნების ჩატარებისას კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, და რათა აკადემიკოსობის არჩევნებში დაშვებულნი იქნენ და აკადემიკოსებად არჩეულნი იქნენ მხოლოდ ის მეცნიერები, რომელთაც ნამდვილად აქვთ შეტანილი საერთაშორისო დონის წვლილი – ფუნდამენტური წვლილი – მეცნიერების განვითარებაში.

* * *

პრინციპულად მნიშვნელოვანია აგრეთვე ყურადღება გამახვილდეს შემდეგზე:

თუმცა არავის არ ეკრძალება ჰქონდეს აკადემიკოსობის სურვილი, მაგრამ, *რბილად რომ ვთქვათ*, გაკვირვებას იწვევს, თუ რის საფუძველზე ხდება იმ მეცნიერთა კანონსაწინააღმდეგოდ წარდგენა აკადემიკოსის ვაკანსიაზე და მათი სამეცნიერო მოღვაწეობის „შეფასება“, რომელთაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში (!!).

რა არის ეს: აკადემიაში წარმდგენის მიზანდასახული კანონსაწინააღმდეგო ქმედება, მისთვის “სასურველი” პირის აკადემიკოსად ასარჩევად, თუ კანონის მოთხოვნის ელემენტარული უცოდინარობა ან მისი სრული უგულებელყოფა?!

ეს ხომ დანაშაულებრივ ქმედებებში თანამონაწილეობაა, ანუ ეს ხომ რეალურად დანაშაულებრივი ქმედებაა, რამეთუ ამ წარდგენით იქმნება იმ პირის აკადემიკოსად არჩევის შესაძლებლობა, რომელსაც არა აქვს შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, და ამით იქმნება ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის მრავალი წლის მანძილზე ყოველთვიურად ძარცვის შესაძლებლობა აკადემიკოსად წარდგენილი პირის სასარგებლოდ, რომელიც მისი ”რეკომენდატორის” მხარდაჭერით და სხვა ”გზებით” შესაძლოა არჩეული იქნეს ”აკადემიკოსად” (!!).

ნუთუ ზემოაღნიშნულ ქმედებაზე არ უნდა არსებობდეს არავითარი იურიდიული პასუხისმგებლობა?!

ნუთუ პირს, *მათ შორის (და მით უმეტეს)*, აკადემიკოსს, მხოლოდ უფლებები უნდა ჰქონდეს, და ნუთუ მას პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეს მისი უფლებების კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – გამოყენების შედეგებზე, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [12; და სხვა] შესაბამისად?!

* * *

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიკოსობის არჩევნების ჩატარების დროს ზემოაღნიშნულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი:

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 11) თანახმად:

აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის), საპატიო აკადემიკოსის, აკადემიის უცხოელი წევრისა და აკადემიის სტიპენდიატის არჩევის წესი განისაზღვრება აკადემიის წესდებით [2].

ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების თანახმად (თავი X, მუხლი 6):

“აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა არჩევნებისას განყოფილებაში ხმის უფლებით სარგებლობენ აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები)” [13].

ამასთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების ეს მოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან იმის გამო, რომ ამ წესდების თანახმად (თავი X, მუხლი 4):

”საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობისა (აკადემიკოსობის) ... წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს” [13].

ამრიგად, ის აკადემიკოსები, რომლებმაც წამოაყენეს აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატები თვითონვე ირჩევენ მათ აკადემიკოსებად, რაც აშკარად კანონსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს, რამეთუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად:

“მუხლი 8. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე” [14].

“მუხლი 92. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

- ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
- ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
- დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;” [14].

ვფიქრობ, რომ აქ შემდგომი კომენტარები ზედმეტია (!!).

ამიტომ, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი აკადემიკოსობის ყველა არჩევნების შედეგები (მათ შორის, ჩაშლილი არჩევნები), რომელ არჩევნებშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსობის კანდიდატების წარმდგენი აკადემიკოსები, და არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შემდეგ, ამ არჩევნებში მონაწილეთა რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნან კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – დაშვებული პირები, ანუ აკადემიკოსობის ის კანდიდატები, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, და მათი რეგისტრაციიდან მოხსნის (მათი რეგისტრაციის ბათილად ცნობის) მომენტიდან ხელახლა უნდა ჩატარდეს, უფრო ზუსტად კი, უნდა გაგრძელდეს იგივე არჩევნები, მაგრამ მხოლოდ კანონიერად უკვე დარეგისტრირებულ მეცნიერთა მონაწილეობით.

ამასთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდებაში (13, მუხლი 7, მუხლი 9) უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლის თანახმად იმ აკადემიკოსებს, რომლებმაც წამოაყენეს აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატები, უნდა აეკრძალოთ განყოფილებაში აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა შერჩევაში ყოველგვარი მონაწილეობა, და აგრეთვე აკადემიის საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობის და საერთოდ არჩევნებში ყოველგვარი მონაწილეობის უფლება.

* * *

და კიდევ, თუშეცა აკადემიკოსებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით, მაგრამ არცერთ აკადემიკოსს არა აქვს უფლება კანონსაწინააღმდეგოდ მისცეს ხმა მეცნიერების სფეროს იმ წარმომადგენლის არჩევას, რომელსაც არა აქვს შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, რამეთუ ეს გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვას პირის დაუმსახურებლად და კანონსაწინააღმდეგოდ ”აკადემიკოსად” არჩევის გამო, რაც სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს (!!).

ასევე აკადემიკოსს არა აქვს უფლება კანონსაწინააღმდეგოდ არ მისცეს ხმა მეცნიერების იმ წარმომადგენელს, რომელსაც შეტანილი აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, რამეთუ ეს გამოიწვევს იმ მეცნიერის ტრეფიკინგს, რომელიც კანონის თანახმად იმსახურებდა აკადემიკოსად არჩევას, რაც, *ამავე დროს*, კვალიფიცირებული უნდა იყოს – როგორც ამ ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება [11, მუხლები – 143¹, 332, 333], რაზედაც მას პასუხი უნდა მოეთხოვოს ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკური და სამართლებრივი თეორიის შესაბამისად [12], როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ისე ამ თეორიის საფუძველზე შექმნილი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით.

* * *

განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს აგრეთვე ყურადღება კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მამხილებელ განცხადებასთან დაკავშირებით აკადემიიდან გამოგზავნილ სრულიად უსაფუძვლო პასუხზე.

კერძოდ, ნაცვლად ამ არჩევნების კანონიერ ჩარჩოში მოქცევის მცდელობისა, აღნიშნულ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ამ არჩევნებთან დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების “გამათეთრებელ” – სრულიად უსაფუძვლო პასუხში, რომელიც აკადემიიდან იქნა გამოგზავნილი, ვკითხულობთ, რომ აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნიდან გამომდინარე, თითქოს განცხადებაში „დასმული საკითხი უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას“ (?!), მაგრამ, *რაც ძალიან მნიშვნელოვანია*, არ გამოგზავნეს კომისიის დასკვნა, რომლითაც კომისია შეეცდებოდა განცხადებაში დასმული საკითხის თითქოსდა უსაფუძვლობის “დამტკიცებას”.

და ეს ხდება ალბათ იმიტომ, რომ ამ განცხადებაში დასმული საკითხის თითქოსდა “უსაფუძვლობის” “დასაბუთება” შეუძლებელია (?!).

აქ უდავოდ ისმის კითხვა: საქმე ხომ არ გვაქვს სრულ არაკომპეტენტურობასთან, ანდა, *კიდევ უფრო უარეს მოვლენასთან*, ორგანიზებულ დანაშაულთან, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში “ვერ გაურკვევიათ” ან ვითომ “ვერ გაურკვევიათ” (*მიუხედავად ჩემს მიერ წარდგენილი მრავალი არგუმენტისა და უტყუარი მტკიცებულებებისა*), თუ კანონდატყვევან ვის აქვს შეტანილი საერთაშორისო დონის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში?!

საქმე ხომ არ გვაქვს სრულ არაკომპეტენტურობასთან, ანდა, *კიდევ უფრო უარეს მოვლენასთან*, ორგანიზებულ დანაშაულთან, როდესაც “ვერ გაურკვევიათ” ან ვითომ “ვერ გაურკვევიათ”, რომ “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) “შეიძლება არჩეულ იქნეს... მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში” [2], რაც ნიშნავს იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობისათვის შეიძლება დაშვებული იქნეს მხოლოდ ის მეცნიერი, რომელსაც შექმნილი აქვს პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები, და არა ის, ვინც ეწევა სხვისი (თუნდაც გენიოსების) იდეების “პროპაგანდას” და მათი იდეების “კომენტირებას”, რამეთუ ეს სულაც არ ნიშნავს თითქოსდა აღნიშნული “პროპაგანდისტის” მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილის შეტანას მეცნიერების განვითარებაში, რაც ჭეშმარიტმა მეცნიერებმა უდავოდ უნდა იცოდნენ (?!).

საქმე ხომ არ გვაქვს სრულ არაკომპეტენტურობასთან, ანდა, *კიდევ უფრო უარეს მოვლენასთან*, ორგანიზებულ დანაშაულთან, როდესაც „ვერ გაურკვევიათ“ ან ვითომ “ვერ გაურკვევიათ”, რომ არჩევნები ტარდება სპეციალობით: “პოლიტოლოგია, ფილოსოფია”, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში დაშვებისათვის მსურველს ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი ერთდროულად ორივე დარგში – როგორც პოლიტიკურ, ისე ფილოსოფიურ მეცნიერებებში, რამეთუ კონკურსი ტარდება ერთ ადგილზე არა სპეციალობით: “პოლიტოლოგია ან ფილოსოფია”, არამედ სპეციალობით: “პოლიტოლოგია, ფილოსოფია”, და თუ ვინმეს ეს არ ესმის მეცნიერებათა აკადემიაში – სამარცხვინო ფაქტია (!!).

საქმე ხომ არ გვაქვს სრულ არაკომპეტენტურობასთან, ანდა, *კიდევ უფრო უარეს მოვლენასთან*, ორგანიზებულ დანაშაულთან, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში “ვერ გაურკვევიათ” ან ვითომ “ვერ გაურკვევიათ”, რომ დანაშაულია იმ მეცნიერისგან ჯერ საბუთების მიღება და მისი რეგისტრაცია, ხოლო შემდეგ მისთვის ხმის მიცემა, რომელსაც არა აქვს შეტანილი საერთაშორისო დონის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, რამეთუ ამით ფაქტობრივად ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვა, ისევე, როგორც დანაშაულია იმ მეცნიერისთვის ხმის არმიცემა, რომელსაც უდავოდ აქვს შეტანილი საერთაშორისო დონის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, რამეთუ ასეთი კრიმინალური ქმედებით ფაქტობრივად ხდება ამ ჭეშმარიტი მეცნიერის ძარცვა – მისთვის ტრეფიკინგის მოწყობა და ა.შ. (!!).

ნუთუ გასაკვირი არ არის “ტრადიციად” ქცეული ასეთი მანკიერი ქმედებები, რაც, *როგორც უდავოდ და აშკარად ჩანს*, აკადემიის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის პირობებში არ დაწყებულა და არ დამკვიდრებულა, რამეთუ დაუჯერებელია, რომ თითქოს აკადემიკოსებად (*განსაკუთრებით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში*) ყოველთვის ირჩევდნენ მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომლებსაც შეტანილი აქვთ საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, *მით უმეტეს*, რომ მრავალი ფაქტის – *მრავალი მაგალითის* – მოყვანა შეიძლება იმის დამადასტურებლად, რომ აკადემიკოსებად ყოველთვის არ იყვნენ არჩეული ის მეცნიერები, რომლებსაც შეტანილი ჰქონდათ საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში (!!).

ამასთან განსაკუთრებით გასაკვირია, რომ ეს მანკიერი “ტრადიცია” ამჟამადაც შეუქცევლად გრძელდება, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების ძირგამომთხრელ ქმედებას წარმოადგენს (!!).

ნუთუ ვერ “ხვდებიან” და/ან “ავიწყდებათ”, რომ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის (პრეამბულა) შესაბამისად: “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის... საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება” [2], და არა რაღაცა ეგრეთ წოდებული “კორმუშკა” (!!).

* * *

დაბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კატეგორიულად მოვითხოვ, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღმოიფხვრას აკადემიკოსობის არჩევნებთან დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგები, რისთვისაც, *უპირველეს ყოვლისა*, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ამ არჩევნების შედეგები.

ამასთანავე, ზემოთ ხსენებულ განმცხადებელს ყოველგვარი ვადების დარღვევით მაინც უნდა გადაეცეს აკადემიაში შექმნილი კომისიის „დასკვნა“ მის საქმეზე, რომელიც, ეჭვგარეშეა, სრულიად უსაფუძვლო იქნება (?!).

ამავე დროს, *ნებისმიერ შემთხვევაში*, დაუყოვნებლივ, თანაც კანონიერად და სამართლიანად უნდა ჩატარდეს აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ხელოვნურად და დანაშაულებრივად ჩაშლილი არჩევნები სპეციალობით: „პოლიტოლოგია, ფილოსოფია“, რაც უნდა დაიწყოს კანონსაწინააღმდეგო რეგისტრაციიდან აკადემიკოსობის იმ კანდიდატთა მოხსნით (*იმ კანდიდატთა რეგისტრაციის ბათილად ცნობით*), რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში (*რაც მათ მიერ აკადემიაში წარდგენილი დოკუმენტებითაც დასტურდება*), და შემდეგ არჩევნების პროცესი იქიდან უნდა გაგრძელდეს.

ამასთან, არჩევნებში – *განხილვებში და კენჭისყრაში* – მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ აკადემიკოსებს, რომლებსაც აღნიშნულ არჩევნებში თავიდანვე არ ჰყავდათ წარდგენილი აკადემიკოსობის კანდიდატები.

გარდა ამისა, არ უნდა იქნეს დაშვებული, რომ არჩევნებში მონაწილე აკადემიკოსებმა გამოიყენონ ფარული კენჭისყრა კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – ხმის მიცემის დასაფარავად, რამეთუ ფარული დანაშაულიც – დანაშაულია, და, ასეთ შემთხვევაში, *შესაბამისად*, უნდა ამოქმედდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმები.

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, *ამასთან ერთად*, სრულიად ლოგიკური იქნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, *კერძოდ*, აკადემიაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, *მით უმეტეს*, რომ ამის უდავო სამართლებრივ საფუძველს იძლევა საქართველოს კანონი “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”.

კერძოდ, საქართველოს კანონის “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” (მუხლი 60. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), შესაბამისად:

“1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

2. არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი” [14].

ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად “არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები” [14], სრულიად კანონიერი და სამართლიანი იქნება, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიკოსობის არჩევნების ჩატარებისას მრავალი კანონსაწინააღმდეგო ქმედების მხილებული ფაქტების გათვალისწინებით, შემოწმდეს (გადამოწმდეს) აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში წლების მანძილზე არჩეულ აკადემიკოსთა კანონიერება, რომლის შედეგად აკადემიკოსობა უნდა შეინარჩუნონ მხოლოდ იმ მეცნიერებმა, რომელთაც აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში.

ხოლო იმ აკადემიკოსების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, მაგრამ კანონსაწინააღმდეგოდ მაინც არიან არჩეულნი აკადემიკოსებად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მათი არჩევნების შედეგები არარა აქტად უნდა იქნეს ცნობილი, და, შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული ყველა იმ არჩევნების შედეგები, რომლითაც ისინი კანონსაწინააღმდეგოდ არჩეულნი იყვნენ “აკადემიკოსებად” (!).

ნუთუ კანონიერად და სამართლიანად შეიძლება ითვლებოდნენ “აკადემიკოსებად” ის პირები, რომლებსაც თვითონ არა აქვთ შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის – ფუნდამენტური – წვლილი მეცნიერების განვითარებაში, ანუ რომლებიც კანონსაწინააღმდეგოდ არიან არჩეულნი “აკადემიკოსებად”, და რომ, მიუხედავად ამისა, ისინი ღებულობდნენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ იმსახურებს აკადემიკოსად არჩევას?!

ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს და კაცობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, ბოლოს და ბოლოს უნდა დამყარდეს და დამკვიდრდეს სამართლიანობა და ხალხის ინტერესების უზენაესობა [1; და სხვა], მათ შორის, მეცნიერებაში, ხოლო ამისთვის აუცილებლად უნდა გაირკვეს:

ვინ ვინ არის საზოგადოებრივ მეცნიერებებში?!

ამასთანავე, დაუსჯელობით გათავხედებულ თანამდებობის პირთა კრიმინალური ქმედებების ბატონობის დაძლევისა და აღმოფხვრის გარეშე – სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარება შეუძლებელი და მიუღწევადია (!)

ლიტერატურა

1. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 336 გვ.

2. საქართველოს კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/20194?publication=8>

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) 2018 წლის არჩევნების დროებითი დებულება. 2 ოქტომბერი, 2018.
<http://science.org.ge/newsite/znews/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-27/>

4. საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”. კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). 20.09.2018.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75>

5. Кураташвили Альфред А. Глубинные проблемы общественных наук в свете Мирового экономического кризиса начала XXI века. *Материалы Международной научной конференции: «Актуальные проблемы общественных наук»* (21-22.12.2009). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2009.

6. კურატაშვილი ალფრედ. **მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის ბათანაბრება მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან და/ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან – კანონსაწინააღმდეგო ქმედება და სამართლებრივი უპიცობაა (?).**

ნუთუ განსაკუთრებული სამართლებრივი კულტურა და გონიერება სჭირდება იმაში გარკვევას, რომ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან და/ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებული არ არის და ვერც იქნება (?). საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. XXVIII *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (12.10.2017). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2017. – გვ. 3-20.

7. Какое влияние на науку оказал Аристотель.
<https://www.kakprosto.ru/kak-838707-kakoe-vliyanie-na-nauku-okazal-aristotel>

8. Моторная Е.Д. «Вклад Адама Смита в развитие организационной науки». Актуальность для сегодняшней России. <https://scienceforum.ru/2015/article/2015012180>

9. Опишите вклад известных вам украинских ученых в развитие мировой науки. <https://znaniya.com/task/1378410>

10. Вклад российских учёных в развитие мировой экономической мысли. Особенности развития экономической науки в России.
https://studopedia.ru/14_83980_vklad-rossiyskih-uchenih-v-razvitie-mirovoy-ekonomicheskoy-misli-osobennosti-razvitiya-ekonomicheskoy-nauki-v-rossii.html

11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). 22.12.2018.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

12. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.

13. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების 2016 წლის 12 სექტემბრის № 9 დადგენილების დანართი № 1.

14. საქართველოს კანონი “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”. კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). 27.12.2018.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=28>

УДК 1+32+33+34+35

Альфред Анзорович Кураташвили (Тбилиси, Грузия)

Доктор экономических философских и юридических наук, профессор в области общественных наук, Президент Международной Академии социально-экономических наук, Президент Международной Академии Политического менеджмента и Президент Международной Академии Юридических наук, Действительный член Нью-Йоркской Академии наук, Академик Академии политических наук США, Основатель и Главный Редактор Международного научного журнала «Прогресс» и Международного научного журнала «Проблемы Юриспруденции», Член Федерации журналистов

**ПРОТИВОЗАКОННЫЕ И
КРИМИНАЛЬНЫЕ ДЕЯНИЯ
В НАЦИОНАЛЬНОЙ АКАДЕМИИ НАУК
ПРИ ПРОВЕДЕНИИ ВЫБОРОВ
В ДЕЙСТВИТЕЛЬНЫЕ ЧЛЕНЫ (В АКАДЕМИКИ)
В СФЕРЕ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК –
УГРОЗА БЕЗОПАСНОСТИ
ОБЩЕСТВА, ГОСУДАРСТВА
И ЧЕЛОВЕЧЕСТВА (!?)**

**О преступных деяниях
со стороны лиц,
владеющих высшими чинами
и властью в науке (!?)**

Глубинные причины, создающие угрозу безопасности общества, государства и человечества в целом, следует искать, *прежде всего*, в недооценке в высших эшелонах науки – истинных учёных в сфере общественных наук, являющихся творцами принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий (!!).

Более того, особая опасность заключается не только в недооценке истинных учёных в сфере общественных наук, но и в том, что имеет место игнорирование истинных учёных в данной сфере, создавших и способных создавать теоретические основы эффективного управления обществом, государством и человечеством в интересах народа (!!).

И это делается несмотря на внесённый вышеотмеченными истинными учёными международно значимый – фундаментальный – вклад в развитие науки (!!).

Притом, отмеченные глубинные причины, создающие угрозу государственной безопасности, следует искать, *одновременно*, и в восхвалении опять-таки в высших эшелонах науки – «пересказчиков» и «комментаторов» чужих идей, и в «возвышении» их до «уровня» будто бы «истинных учёных», что не только преступно, но и позорно (!!).

Следовательно, глубинные причины, создающие угрозу безопасности общества, государства и человечества в целом, следует искать, *прежде всего*, в противозаконных деяниях в высших эшелонах сферы общественных наук, криминально тормозящих научный и социальный прогресс (?!).

Более того, противозаконные деяния в высших эшелонах сферы общественных наук, необходимо рассматривать как превышение должностными лицами своих служебных (должностных) полномочий и как злоупотребление ими служебными (должностными) полномочиями, представляющими собой уголовно наказуемые – явно криминальные – деяния (?!) [1, Уголовный кодекс Грузии, Статьи 332, 333].

Вызывает также особое удивление, когда в высших эшелонах науки, *где в сфере общественных наук даже микроскопом трудно найти истинных учёных – создателей принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий, внёсших международно значимый – фундаментальный – вклад в развитие науки*, противозаконно и нагло «придираются» к истинным учёным за то, что будто бы они – *истинные учёные* – «обязаны» были ознакомить с созданными ими принципиально новыми научными направлениями и принципиально новыми научными теориями, *прежде всего*, местных представителей сферы науки (тогда как с этими принципиально новыми научными направлениями и принципиально новыми научными теориями местные представители сферы науки могли бы сами ознакомиться как в библиотеках, так и в интернете), и будто бы лишь только после «одобрения» этих принципиально новых идей местными представителями сферы науки (у которых – у некоторых из них, узнав о создании кем-либо принципиально новых идей, иногда даже поднимается давление от эгоизма), истинные учёные могли – «имели право» – вынести свои творческие идеи для ознакомления с зарубежными учёными (?!).

Удивительно, но факт (?!).

Ведь такое глупое и противозаконное «требование» может возникать лишь в головах тех представителей в высших эшелонах сферы науки, которые сами не являются истинными учёными, ибо не способны творить в науке принципиально новое, и которые из-за эгоистических побуждений всячески пытаются «заглушить» истинных учёных, чтобы на их фоне самим не выглядеть «серыми» (?!).

И ведь именно такое противозаконное деяние представителей высших эшелонов сферы общественных наук является глубинной причиной, создающей угрозу безопасности общества, государства и человечества в целом (?!).

Притом, здесь логически возникает вопрос:

Неужели представители высших эшелонов сферы общественных наук, «традиционно» привыкшие к противозаконным деяниям, *например*, при избрании действительных членов (академиков) в

Национальную Академию наук, не могут хотя бы задуматься о следующем:

Если кто-нибудь подаст в Суд даже через многие годы Иск с требованием о законном признании в соответствии с Общим Административным Кодексом Грузии – Ничтожными административно-правовыми актами [2, Статья 60] всех тех решений Академии, на основе которых ранее противозаконно были избраны действительными членами (академиками) в Национальную Академию наук те ныне здравствующие учёные, считающиеся «академиками» и пожизненно финансируемые из государственного бюджета, которые не внесли международно значимый – фундаментальный – вклад в развитие науки, *ибо это законное требование было и является необходимым критерием для избрания учёного действительным членом (академиком) в Национальную Академию наук* [3, Статья 10, пункт 2], то многие решения об их избрании в академики будут аннулированы (*будут признаны недействительными*) с момента их принятия (?!).

Вышеотмеченное же, приведёт к соответствующим тяжёлым – *уголовно наказуемым* – последствиям, как для избравших – для противозаконно голосовавших за избрание лиц академиками, так и для самих противозаконно «избранных» в «академики», явно добившихся избрания академиками – криминальным путем (?!).

Это также приведёт к тяжёлым – *уголовно наказуемым* – последствиям, *прежде всего*, для Руководителей Академии за организованную преступность и т.д. (?!).

Весьма остро должен стоять вопрос и о юридической ответственности тех академиков, которые для избрания в действительные члены (в академики) противозаконно представили кандидатуры «учёных», не внесших международно значимый – фундаментальный – вклад в развитие науки, ибо, тем самым, эти академики – «рекомендаторы» – лоббируют постоянное (ежемесячное) ограбление государственного бюджета в пользу тех «претендентов», которые противозаконно будут избраны «академиками» (?!).

Притом, необходимо обратить внимание на то, что эти академики – «рекомендаторы» – сами «имеют» противозаконное «право» голосовать и противозаконно голосуют за избрание представленных ими же кандидатур для избрания действительными членами (академиками), что в соответствии с Общим Административным Кодексом Грузии является явно противозаконным деянием [2, Статьи 8 и 92].

В частности, более конкретно следует привести отмеченные Статьи Административного Кодекса Грузии, в соответствии с которыми:

«Статья 8. Беспристрастное разрешение дела

1. Административный орган обязан осуществлять свои полномочия беспристрастно.

2. В административном производстве не могут участвовать должностные лица, имеющие личный интерес либо при наличии иных обстоятельств могущие повлиять на разрешение дела» [2, Статья 8].

«Статья 92. Недопустимость участия в административном производстве

1. В административном производстве не может участвовать должностное лицо административного органа, которое:

- а) само является заинтересованной стороной в деле;
- б) является родственником участвующей в деле заинтересованной стороны или ее представителя;
- в) является представителем участвующей в деле заинтересованной стороны;
- г) являлось экспертом по данному вопросу;» [2, Статья 92].

Думается, дальнейшие комментарии здесь излишни (?!).

Кроме того, необходимо привлекать к ответственности и тех, кто принимает в Академии и противозаконно регистрирует документы того учёного для избрания в действительные члены (в академики), в представленных документах которого не указан, что он внёс международно значимый – фундаментальный – вклад в развитие науки, ибо это процедурное нарушение, с которого начинается противозаконное «делячество» уже непосредственно в Академии наук для избрания действительным членом (академиком) не истинного, а «желаемого» для «кое-кого» будто бы «учёного», вместо избрания истинного учёного (?!).

Принципиально важно обратить внимание и на то, что голосование при избрании действительных членов (академиков) является тайным, в связи с чем ошибочно принято считать, что будто бы за результаты голосования никто не может быть привлечен к ответственности (?!).

В действительности же, тайно совершенное преступление – тоже является преступлением, т.е. тоже является криминальным деянием (?!).

В данном случае преступлением является голосование за избрание действительным членом (академиком) того кандидата, который не внёс международно значимый – *фундаментальный* – вклад в развитие науки, ибо это фактически является голосованием за ограбление государственного бюджета в пользу будто бы «истинного» «учёного» (?!).

Преступлением является также голосование против избрания действительным членом (академиком) того кандидата, который внёс международно значимый – фундаментальный – вклад в развитие науки, ибо это голосование уже является голосованием за ограбление истинного учёного (?!).

Таким образом, тайное голосование должно происходить в соответствии с требованием закона, т.е. академик имеет право голосовать только в поддержку того кандидата, кто внёс международно значимый – *фундаментальный* – вклад в развитие науки, ибо, в противном случае, будет иметь место явно криминальное деяние со стороны голосующего академика – будет иметь место тайное криминальное деяние со стороны голосующего академика, что не только преступно, но и позорно (?!).

* * *

В результате вышеизложенного логически следует, что лишь признанием руководителями Национальной Академии наук противозаконности проведённых ими выборов в академики, и лишь проведением этих выборов заново – *притом проведением их законно, честно и справедливо*, начиная с пересмотра законности регистрации документов, поданных кандидатами в академики, и с аннулирования регистрации тех кандидатов, в представленных документах которых конкретно не отмечается об их международно значимом – *фундаментальном* – вкладе в развитие науки путем создания этими учёными принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий, руководство данной Академии может как бы частично «обелить» свои противозаконные – криминальные – деяния, имеющие место в процессе проведённых выборов в академики, и тем самым может как бы «смягчить» полагаемое им по закону наказание, хотя никакого оправдания их безнаказанной вседозволенности быть не может (?!).

* * *

В связи с проблемой справедливого и законного выявления истинных учёных в сфере общественных наук, *творческая деятельность которых имеет принципиальное значение для обеспечения безопасности общества, государства и человечества*, чрезмерно важным является созданная мной и неоднократно опубликованная Классификация представителей сферы науки, ибо «серые» – *лишённые творческого мышления* – представителей сферы общественных наук, *нередко владеющих высшими чинами и властью в науке*, либо неспособны, либо же не желают различать истинных учёных от «учёнообразных» людей, от «дельцов» в науке, от «вредителей» в сфере науки и даже от «Интеллектуальных» «импотентов» (*с точки зрения творческого мышления*) в науке (?!).

Следовательно, далее, для выявления истинных учёных и предотвращения криминальных деяний при определении различия представителей сферы общественных наук, *особенно при избрании их в академики в Национальной Академии наук и т.д.*, еще раз предлагаю давно созданную мной Классификацию представителей сферы наук.

Притом, считаю необходимым особо подчеркнуть, что в данном случае мной подразумеваются не непосредственно конкретные лица – участники вышеотмеченных выборов, претендующие быть избранными в академики и/или сами академики Национальной Академии наук, ибо это Классификация касается всех представителей сферы общественных наук во Всемирном масштабе.

Хотя, если некоторые представители сферы общественных наук совершенно верно и справедливо «заметят» – «узнают» – себя в этой Классификации, *мягко говоря*, в неприятном для себя ракурсе, то не должны они обижаться не на кого, ибо, *во-первых*, это их личная

проблема, и, *во-вторых*, никто не виноват в том, что они именно «такие», и что они не являются истинными учёными (?!).

* * *

В связи с проблемой научного творчества, считаю необходимым еще раз особо подчеркнуть следующее:

«Принципиально важно отметить, что тот, кто не является истинным учёным, *но который по своему должностному положению имеет определённые права в сфере науки*, должен хотя бы иметь столько ума и совести, чтобы неученого (примкнувшего к сфере науки, но не являющегося ученым) или даже «учёнообразного» человека – не «уравнивать» с истинным учёным, ибо, по моему глубокому убеждению:

Так же, как цыпленка или кролика –
по своей физической силе
невозможно сравнить с тигром,
неученого, или даже «учёнообразного» человека –
невозможно сравнить и уравнивать
с истинным учёным (?!)» [4, с. 28].

Более того, «учёнообразных» «лиц», которые в сфере науки «выглядят» – как «Буйволы в театре», порой не только «уравнивают» с истинными учёными – *создателями всемирно значимых революционно новых научных направлений, революционно новых научных теорий и т.д.*, а даже ставят их «выше» истинных учёных (?!).

Это, *в частности*, может проявиться, *например*, в том, что во время проведения конкурсов на замещение академических или научных должностей и т.д., «учёнообразным» «лицам» могут «отдать» – «присвоить» им в качестве «подарка» – «преимущество», т.е. могут «отдать» им «предпочтение» по сравнению с истинными учёными (?!).

Удивительно, но не исключены подобные и другие случаи, когда, *например*, даже «клопов» в науке могут объявить будто бы «учёными», когда этих «клопов» в науке, *лишённых творческого мышления*, могут «избрать» на должности «профессоров», «избрать» даже «академиками», и когда их – *отмеченных «клопов»* – могут «назначить» даже «научными» руководителями докторантов (?!).

И это несмотря на то, что как я неоднократно и совершенно справедливо отмечал:

«Так же, как
человекообразная обезьяна –
не является человеком,
учёнообразный человек –
не является учёным» [5, с. 70].

Но понимают ли вышеотмеченное – все те лица, *которым по своему должностному положению приходится решать проблемы в сфере общественных наук*, и способны ли они – *все эти лица* – отличать истинного ученого от «учёнообразного» человека в науке вообще, *а тем более*, если они сами не являются истинными учёными?!

И понимают ли вышеотмеченные «лидеры» в сфере общественных наук, что «уравнивать» «учёнообразных» «лиц», *которые в сфере науки «выглядят» – как «Буйволы в театре»*, с истинными учёными – это уголовно наказуемое преступление, что это преступление, подрывающее государственную безопасность и безопасность всего мира, что это преступление против человечности, что это предательство интересов Человека, интересов науки, интересов общества, государства и человечества в целом?!

И еще: Не является ли отмеченная преступная «неразбериха» результатом отсутствия ответственности должностных лиц, которая (т.е. ответственность), *в соответствии с созданной мной Теорией сбалансированности прав и ответственности должностных лиц* [б, и др.], должна быть сбалансирована с их правами – принимать решения, но принимающих противозаконные решения?!

* * *

Следовательно, необходимо отметить, что вышеизложенная преступная «неразбериха» и господство невежества в науке – это позор для самой науки, для общества и для государства (?!).

А главное то, что такая преступная «неразбериха» и господство невежества в науке – это, *прежде всего*, позор для тех, кто управляет наукой, обществом и государством (?!).

* * *

Проблема «засорения» общественных наук – это проблема, тормозящая не только развитие науки, но и тормозящая развитие общества, государства и человечества в целом (?!).

Поэтому, чрезмерно важно выяснить:

Кто есть кто в общественных науках?!

Решение отмеченной проблемы – необходимое (хотя и недостаточное) условие развития самой науки, и необходимое условие достижения на этой основе – социально-экономического прогресса.

* * *

В связи с проблемой выяснения и определения того – Кто есть кто в науке вообще, и, *в частности*, Кто есть кто в общественных науках, принципиальное значение – с точки зрения прав и интересов человека, с

точки зрения интересов общества, государства и человечества в целом, как уже отмечалось выше, имеет созданная мной много лет назад и неоднократно опубликованная Классификация представителей сферы науки [7, с. 16-17; и др.].

В частности, в соответствии с созданной мной Классификацией представителей сферы науки необходимо отличать:

1. Истинных учёных – творцов принципиально новых международно значимых научных идей, т.е. творцов революционно новых научных направлений, революционно новых научных теорий и т.д.

2. Научных работников – работников в сфере науки, которые не являются истинными учёными, и заняты подсобной работой в науке.

Следовательно, отмеченные работники хотя и не являются создателями новых международно значимых научных идей, но своим честным трудом способствуют, как творческой деятельности истинных учёных, так и воспитанию студентов и т.д., а тем самым, способствуют развитию науки, общества и государства.

Хотя, несмотря на это, они все-таки остаются лишь работниками в науке, т.е. они не являются истинными учеными, что, на мой взгляд, совершенно естественно.

Ведь общеизвестно, что, например, пианисты или скрипачи сами по себе не являются композиторами, несмотря на то, что они нередко творчески исполняют музыкальные произведения, созданные композиторами.

И это потому, что пианисты или скрипачи не творят новое – не создают новые произведения. А если кто-либо из них творит новое, то лишь в таком случае он является и композитором.

Почему же всех, кто лишь «исполняет» чужие произведения в науке, надо считать учёными (!!).

2¹. Вместе с тем, в отличие от обычных работников науки – в отличие от обычных научных работников, необходимо особо выделить из них тех научных работников, которые хотя и не являются создателями принципиально новых международно значимых научных идей, но которые, несмотря на это, способны воспринять, оценить и использовать принципиально новые международно значимые научные идеи, созданные истинными учёными!!!

Притом, даже лишь осознание и использование принципиально новых международно значимых научных идей, безусловно, важно вообще, и тем более, в условиях, когда истинного учёного, мягко говоря, не так легко можно найти в мире.

3. «Вредителей» в науке, т.е. таких «деятелей» в науке, которые не только сами не являются истинными учёными, не только сами не способны создать новое в науке, а используя свое должностное положение в сфере науки и высшего образования, всячески препятствуют творческому развитию науки, всячески препятствуют творческой деятельности истинных учёных (!!).

И это, видимо, потому, чтобы на фоне истинных учёных им самим не выглядеть «серыми» (!!).

А значит, вредители в науке создают искусственные преграды на пути научного творчества, *в виду чего такие вредители не должны иметь место в науке* [7, с. 16-17; и др.].

«Притом среди таких вредителей в науке обычно встречаются в основном крупные по своему должностному положению в сфере науки и по своим учёным степеням и званиям – вредители науки, ибо у мелких вредителей в науке (*которых также немало в сфере науки*) меньше возможностей создавать препятствия на пути научного творчества» [7, с. 17].

Ведь «антиконституционные препятствия творчески мыслящим учёным, – как я отмечал ещё в 2003 году, – создают именно те «учёные», которые сами ничего ценного не создают (и не могут создать) в науке» [8, с. 302].

Затем уже, т.е. после публикации в 2009 году созданной мной Классификации представителей сферы науки – мной же была разработана и добавлена в эту Классификацию нижеследующая 4-ая категория представителей сферы науки, в соответствии с которой среди представителей сферы науки необходимо отличать:

4. «Интеллектуальных» «импотентов» в науке – тех представителей сферы науки, и, в частности, тех представителей сферы общественных наук, которые так же «разбираются» в науке – как «Буйволы в театре» (!!).

Следовательно, «интеллектуальный» «импотент» – это тот, который также ничего не понимает в науке, как «Буйвол – в театре» (!!).

Таким образом, «интеллектуальные» «импотенты» в науке – это «мёртворожденные» для науки «лица», это ничтожества для сферы науки, которые «каким-то образом» – с помощью «кого-то» – примкнули к сфере науки и тем самым лишь способствуют умиртвлению сферы общественных наук (!!).

Притом, они это делают при поддержке «определенных» должностных лиц – с криминальными наклонностями, «заслуживающими» привлечения их к уголовной ответственности (!!).

Такова созданная мной Классификация представителей сферы науки, т.е. такова, если можно так сказать, «сортировка» представителей сферы науки.

Говоря другими словами:

Такова созданная мной – не номинальная (*не лишь по дипломам и другим документам*), а реальная Классификация представителей сферы науки [7, с. 16-17].

* * *

В связи с созданной мной Классификацией представителей сферы общественных наук, мной же неоднократно отмечалось, что истинная наука – это композиция в сфере науки.

В частности, я ранее – *много лет назад* – отмечал следующее:

«Каждый должен хорошо понимать, что истинная наука – это композиция (творение принципиально нового) в сфере науки, а не механическое исполнение произведений, созданных другими.

Таким образом, истинная наука – это создание качественно новых научных направлений, качественно новых научных теорий и т.д., а не переписывание, повторение наподобие попугаев, и даже не цитирование и не разное комментирование научной новизны, созданной другим, без наличия и фиксирования при этом собственных – всемирно значимых – научных идей» [9, с. 52-53].

И действительно, ведь «Суфлер, – как справедливо пишет известный болгарский ученый, дважды доктор наук Стефан Робев, – лучше всех знает роли в пьесе, но это еще не искусство. Ученый должен проделывать путь там, где еще никто не проходил» [10, с. 154].

Далее Стефан Робев пишет: «Ученый будь он со степенью или без, ценится единственно по творческой работе, которую выполняет, а не по административно узаконенному месту, которое занимает» [10, с. 154].

Что касается истинной науки – как композиции, то необходимо особо отметить, что под композицией я понимаю и подразумеваю истинное творчество – создание композитором всемирно значимых шедевров в музыкальном искусстве, а не «творение» «композитором» чего-то наподобие «наукообразия» в общественных науках, ибо подобный «композитор» так же не является истинным композитором, как «учёнообразный» человек не является истинным учёным (?!).

Следовательно, истинная наука – это всегда композиция, но это именно истинная композиция – как творение принципиально нового!!!

* * *

В заключение, опять-таки в связи с противозаконно проведёнными выборами в Национальной Академии наук на вакансию действительного члена (академика) в отделе общественных наук по специальности: «политология, философия» (а не по специальности: «политология» или «философия»), считаю необходимым еще раз особо отметить, что единственным правовым и справедливым выходом из этого криминального положения является признание руководителями данной Национальной Академии наук противозаконности проведённых ими выборов в академики, и обновление проведения этих выборов в рамках закона, т.е. проведение этих выборов заново – *притом проведение выборов реально законно, честно и справедливо*, начиная с пересмотра законности регистрации документов, поданных кандидатами в академики.

Затем же – за пересмотром законности регистрации документов, поданных кандидатами в академики – должно последовать аннулирование регистрации тех кандидатов, в представленных документах которых конкретно не отмечается об их международно значимом – *фундаментальном* – вкладе в развитие науки путем создания этими учёными принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий.

Более того, необходимо аннулировать все результаты отмеченных выборов в Национальной Академии наук, а затем провести эти выборы опять-таки с участием тех же кандидатур и на основе представленных ими тех же документов, но надо начать (*точнее же, продолжить*) процесс выборов, как уже было отмечено, с аннулирования регистрации тех кандидатур, в представленных документах которых конкретно не отмечается об их международно значимом – *фундаментальном* – вкладе в развитие науки путем создания этими учёными принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий.

Кроме того, необходимо запретить имеющее место противозаконное участие в выборах и в голосовании тех академиков, которыми были представлены – рекомендованы – лица в качестве кандидатур для избрания в академики.

Только таким образом, как уже отмечалось, руководители данной Академии – организаторы проведения выборов, а также участники проведения этих выборов могут как бы частично «обелить» свои противозаконные – криминальные – деяния, имеющих место в процессе проведения выборов в академики, и тем самым могут как бы «смягчить» полагаемое по закону наказание, хотя ничем не может быть оправдана их безнаказанная вседозволенность (?!).

Ведь хотя бы когда-то должен прийти конец вседозволенности и «традиционно» противозаконным – криминальным – деяниям, осуществлённым в процессе проведения выборов в академики в Национальной Академии наук (?!).

ЛИТЕРАТУРА

1. Уголовный кодекс Грузии. Принят 22 июля 1999 года; Введен в действие с 1 июня 2000 года.
<https://matsne.gov.ge/ka/document/download/16426/143/ru/pdf>

2. Общий Административный кодекс Грузии. Тбилиси, 25 июня 1999 года.
<https://matsne.gov.ge/ru/document/view/16270?publication=28>

3. Закон Грузии «О Национальной академии наук Грузии». Тбилиси, 14 декабря 2007 года, № 5600-вс
<https://matsne.gov.ge/ru/document/download/20194/3/ru/pdf>

4. Кураташвили Альфред А. Истинно научная деятельность – это композиция, это творчество – это творение революционно нового, так же, как истинное творчество в сфере искусства. Авторская принципиально новая классификация представителей сферы науки. *Международный научный журнал «Прогресс», 2017, №7-8. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2017. – с. 17-32.*

5. Кураташвили Альфред А. Глубинные проблемы общественных наук в свете мирового экономического кризиса начала XXI века. *Актуальные проблемы общественных наук. Материалы Международной научной конференции (21-22.12.2009).* Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009. – 70-86.

6. Кураташвили Альфред А. Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 256 с.

7. Кураташвили Альфред А. Революционные пути и механизмы преодоления проблем научного творчества. *Актуальные проблемы научного творчества. Материалы Международной научной конференции (11-12.03.2009).* Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009. – 11-32 с.

8. Кураташвили Альфред А. Права человека и теории экономического выживания народа. Экономический и морально-психологический геноцид: политико-правовые и социально-экономические пути и механизмы его искоренения (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 400 с.

9. Кураташвили Альфред А. Вмешательство в процесс научного творчества – антиконституционное деяние и уголовное преступление (на грузинском языке). *Актуальные проблемы научного творчества. Материалы Международной научной конференции (21-22.12.2009).* Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009. – 42-61 с.

10. Робев Стефан. Цена открытия. *Журнал «ЭКО» Сибирского отделения АН СССР, 1983, № 10.*

შპპ 1+32+33+34+35

აღფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**კონსტიტუციურად
“დაკანონებულ” უკანონობა და
სრულიად არაკომპეტენტური მსჯელობა
მოსამართლეთა
უვადოდ დანიშვნასთან
დაკავშირებით (!?)**

**ნუთუ სახელმწიფოში
სამართლებრივი აზროვნებისა და
სამართლებრივი კულტურის
ასეთი დეფიციტია?!**

გასაკვირია, უფრო ზუსტად კი, საგანგაშო ფაქტია, რომ საზოგადოებაში და სახელმწიფოში მიმდინარეობს სრულიად არაკომპეტენტური მსჯელობა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით (!!).

აღნიშნული მსჯელობის არაკომპეტენტურობა მდგომარეობს იმაში, რომ რატომღაც თითქმის ვერავინ “ვერ ამჩნევს” – ან ვითომ “ვერ ამჩნევს”, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა, *ჯერ-ერთი*, ლახავს მრავალი ადამიანის – *მრავალი პოტენციური მოსამართლის* – უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რომლებსაც – *რომელ პოტენციურ იურისტებსაც* – ფაქტობრივად ეკრძალებათ მომავალში მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა, და, *მეორეც*, სრულიად არაკომპეტენტურია მსჯელობა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით, *უპირველეს ყოვლისა*, სწორედ იმის გამო, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა წარმოადგებს კონსტიტუციურად “დაკანონებულ” უკანონობას, თავისი შინაარსით წარმოადგებს კონსტიტუციაში ასახულ ანტიკონსტიტუციურ “სამართლებრივ” ნორმას, რამეთუ ამ “ნორმით” უდავოდ ილახება მრავალი ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები (!!).

სწორედ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის კონსტიტუციით “დაკანონების” გამო, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის გადავადებაც კი დაუშვებლად – *ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებად* – ჩაითვლება, მაშინ როდესაც, ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის [1; და სხვა] შესაბამისად, კონსტიტუცია, როგორც საშუალება – *როგორც მთავარი*

სამართლებრივი საშუალება, უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესების უზენაესობას, და არა – პირიქით, რამეთუ კონსტიტუცია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი იქმნება და არსებობს ხალხისთვის, და არა ხალხი – კონსტიტუციისთვის.

შესაბამისად, სრულიად დაუშვებელია კონსტიტუციაში ისეთი სამართლებრივი ნორმის არსებობა, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს (?!).

მაშასადამე, ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის [1; და სხვა] შესაბამისად, *რომელიც წარმოადგენს რეკოლუციურად ახალ მეცნიერულ მიმართულებას*, სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ხელმძღვანელობდეს არა ეგრეთ წოდებულ ცივილიზებულ სამყაროში "დამკვიდრებული" კანონის უზენაესობით, არამედ უნდა ხელმძღვანელობდეს ხალხის ინტერესების უზენაესობით – ადამიანის ინტერესების უზენაესობით, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების განმსაზღვრელი სოციალური მიზნობრივი მიმართულებით [2; და სხვა].

ამისათვის კი, სახელმწიფო ხელისუფლებამ ხალხის ინტერესების უზენაესობასთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სახელმწიფოს კონსტიტუცია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, ნაცვლად იმისა, რომ მან "ბრძალ" მიბადოს ეგრეთ წოდებულ ცივილიზებულ სახელმწიფოებს.

უფრო მეტიც, იმისათვის, რომ ეგრეთ წოდებული ცივილიზებული სახელმწიფოები გადაიქცნენ ჭეშმარიტად ცივილიზებულ სახელმწიფოებად, ამ სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ არა კანონის უზენაესობით, არამედ ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის [1; და სხვა] საფუძველზე მათ უნდა იხელმძღვანელონ ხალხის ინტერესების – ადამიანის ინტერესების – უზენაესობით, რასაც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუცია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი.

რაც შეეხება მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ეს უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის თვალსაზრისით.

ამასთანავე, მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობით არ მიიღწევა სამართლიანი სასამართლოს ფუნქციონირება, რამეთუ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [3; და სხვა] საფუძველზე მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის დაკანონების გარეშე, სასამართლო სისტემაში სამართლიანობის დამყარება და დამკვიდრება სრულიად შეუძლებელია.

უფრო მეტიც, უდავოა, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა – მათ უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობის არსებობის გარეშე, ქმნის და შეუზღუდავად ზრდის მოსამართლეთა მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების – მათი მხრიდან კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების – პოტენციურ შესაძლებლობებს (?!).

ამასთან, ამ შემთხვევაში მე მსჯელობა მაქვს არა კონკრეტულ მოსამართლეებზე, და, *მით უმეტეს*, არა იმ მოსამართლეებზე, რომელთა ირგვლივ საზოგადოებაში და სახელმწიფოში დიდი დავა მიმდინარეობს, მაგრამ რომლებსაც – *და რომელთა საქმიანობასაც* – მე არ ვიცნობ, არამედ იმაზე, რომ მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის თანახმად – კანონის წინაშე ყველა ადამიანი, და, *მათ შორის*, მოსამართლე თანასწორია [4, მუხლი 7; 5, მუხლი 14; 6, მუხლი 14 (ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის – მუხლი 11); 7, მუხლი 19; 8, მუხლი 24; 9, მუხლი 3; 10, მუხლი 1; და სხვა], და სრულიად დაუშვებელია, რომ მოსამართლეს ჰქონდეს "იმუნიტეტი" მის მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – გადაწყვეტილებაზე, რამეთუ საერთოდ "იმუნიტეტი" შეიძლება არსებობდეს და უნდა არსებობდეს ავადმყოფობაზე, და არა – დანაშაულზე, რადგან დანაშაულზე "იმუნიტეტის" არსებობა – თვითონ დანაშაულია (!).

თუმცა, *სამწუხაროდ*, მოსამართლეს უდავოდ აქვს "იმუნიტეტი" კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებაზე, რამეთუ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისთვის მოსამართლე არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში [6, 87-ე მუხლის პირველ პუნქტი (ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 63-ე მუხლის მეორე პუნქტი); 11, მე-40 მუხლის პირველი პუნქტი; და სხვა].

აღნიშნული "იმუნიტეტის" არსებობა კი წარმოადგენს დანაშაულებრივად "დაკანონებულ" ეგრეთ წოდებულ "კრიმას" მოსამართლის კრიმინალური ქმედებების "გასათეთრებლად" და მოსამართლის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან დასაცავად – პასუხისმგებლობის ასაცილებლად, რაც აშკარა წინააღმდეგობაშია კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობასთან და წარმოადგენს მილიონობით ადამიანის დისკრიმინაციას – წარმოადგენს იმ ადამიანების დისკრიმინაციას, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ, და რომლებსაც "იმუნიტეტის" არარსებობის გამო ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – ქმედებებისათვის (!).

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურ გააკვირვებას იწვევს ის ვითარება, რომ მიუხედავად მოსამართლეთა პასუხისმგებლობის არარსებობის პრობლემაზე ჩემს მიერ მრავალი მწვავე სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისადმი არაერთი მეცნიერულად დასაბუთებული მიმართვისა, ადგილი აქვს ამ პრობლემის სრულ იგნორირებას, ანუ ამ პრობლემაზე არავითარი მსჯელობა არ მიმდინარეობს და მას არავითარი ყურადღება არ ექცევა (!).

ამრიგად, სრულიად გაუგებარია, რომ სახელმწიფოში, რომელშიც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ მაღალკვალიფიციური იურისტები, რატომღაც მსჯელობენ მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე და მათ უვადოდ დანიშვნაზე, ხოლო უმთავრეს სამართლებრივ და სახელმწიფოებრივ პრობლემაზე – მოსამართლეთა პასუხისმგებლობაზე, რომლის გადაჭრის გარეშე სასამართლო სისტემაში კანონიერებისა და სამართლიანობის დამყარება და დამკვიდრება მხოლოდ ცრუ ოცნებად დარჩება, თითქმის არაფერ არ ფიქრობს (?!).

ზემოაღნიშნული კი, უდავოდ ბადებს ლოგიკურ კითხვას:

ნუთუ სახელმწიფოში სამართლებრივი აზროვნებისა და სამართლებრივი კულტურის ასეთი დეფიციტია?!

* * *

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის პრობლემაზე, შემდეგ აქვე გთავაზობთ 22.02.2018 წელს ჩემს მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომს თემაზე:

”მოსამართლის უვადოდ დანიშვნა – კონსტიტუციურად “დაკანონებული”, მაგრამ კონსტიტუციის არსის, დანიშნულებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებაა (?!). ნუთუ ვერ ხვდებიან სასამართლო სისტემის მაღალ ეშელონებში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უხეში დარღვევა და მოსამართლის კრიმინალური ქმედებების მასტიმულირებელი ფაქტორია (?!)” [12, გვ. 55-60], რომელშიც ასახულია აგრეთვე მოსამართლის უვადოდ დანიშვნის პრობლემაზე ჩემს მიერ ჯერ კიდევ 2010 წელს, და ასევე 2015 წელს გამოქვეყნებული იდეები.

* * *

“მოსამართლის უვადოდ დანიშვნა სასამართლო სისტემის მაღალ ეშელონებში და საერთოდ სახელმწიფო ხელისუფლებაში “რატომღაც” მიაჩნიათ სასამართლოს – მოსამართლეთა – “დამოუკიდებლობის” “მნიშვნელოვან” გარანტიად (?!).

ეს რომ ნამდვილად ასე არ მიაჩნდეთ, მოსამართლის უვადოდ დანიშვნა სახელმწიფოს კონსტიტუციით არ იქნებოდა გათვალისწინებული (?!).

ამასთან, ცხადია და უდავოა, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა ნამდვილად ბევრად უფრო აძლიერებს მის დამოუკიდებლობას მოსამართლის გარკვეული ვადით არჩევასთან შედარებით, მაგრამ რა გარანტია არსებობს იმისი, რომ ზოგიერთი მოსამართლე ამ “დამოუკიდებლობას” უფრო “გარანტირებულად” არ გამოიყენებს თავისი კრიმინალური ზრახვების განსახორციელებლად (?!).

ხომ საიდუმლო არ არის, რომ მოსამართლეთა მნიშვნელოვან ნაწილს – მათ შორის, ბევრ პატიოსან მოსამართლესაც კი – “ჰკონია”, რომ ნებისმიერ სასარჩელო საქმეზე გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს “თავისი შინაგანი რწმენით” (?!), მაგრამ ამ მოსამართლეებს “ავიწყდებათ” (ან ვითომდა

“ავიწყდებათ”, ანდა “არ ესმით”), რომ მოსამართლეს მართლაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება “თავისი შინაგანი რწმენით”, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში, და არა ისე, როგორც მოსამართლეს “მოეპრიანება” (!).

ამრიგად, არაერთ მოსამართლეს – მისი დამოუკიდებლობა “ჰკონია” და “ესმის” არა როგორც (ან არა მხოლოდ როგორც) დამოუკიდებლობა სასამართლო პროცესში და გადაწყვეტილების მიღებისას გარედან ჩარევისაგან, არამედ ზოგიერთ მოსამართლეს დამოუკიდებლობა “ესმის” როგორც მისი “გალმერთება” და “სრული დამოუკიდებლობა” გადაწყვეტილების მიღებისას, რასაც ისიც “აძლიერებს”, რომ მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხი არ მოეთხოვება საერთოდ და, მათ შორის, მაგალითად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაშიც კი (რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისთვის “საბრალოდ დასკვნას” უნდა წარმოადგენდეს), და რასაც ისიც “აძლიერებს”, რომ აშკარად კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისთვისაც კი მოსამართლე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა (!)*.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადზე ცხადია, რომ არსებული კანონმდებლობის, მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობის (ან თუნდაც მხოლოდ პასუხისმგებლობის ფიქტიური შესაძლებლობის არსებობის) პირობებში, კომპეტენტურ, სპეტაკ და პრინციპულ მოსამართლეთა არსებული დეფიციტის, და განსაკუთრებით კი ბრძენ მოსამართლეთა დიდი – უდიდესი – დეფიციტის პირობებში, მოსამართლის უვადოდ დანიშვნა წარმოადგენს ზოგიერთი მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო (დანაშაულებრივი) გადაწყვეტილების მიღების – მოსამართლის მიერ კრიმინალური ქმედებების – მასტიმულირებელ ფაქტორს (!).

* მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობა (რაც კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის საწინააღმდეგოდ – “რატომდაც” დანაშაულად არ ითვლება) ზოგიერთ პატიოსან მოსამართლეშიც კი იწვევს პასუხისმგებლობის “მოღუნებას” ... (!).

ზემოაღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ როდესაც ერთ ჩემს კარგად ნაცნობ მოსამართლეს (რომლის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა ძალიან ძნელია) მე ვუთხარი, რომ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის მოსამართლეს უნდა ეკისრებოდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მეთქი, მან მიპასუხა:

“ასე რომ იყოს, მე აქამდე უკვე 15-ჯერ ჩამსვამდნენ ციხეშიო” (!).

წარმოიდგინეთ, რომ თუ შედარებით “პატიოსანი” მოსამართლე (რომელიც ანგარებით არ იღებს გადაწყვეტილებებს) ამას ამბობს, რას იზამენ უვადოდ დანიშნული “საეჭვო” მოსამართლეები (!).

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის უკიდოდ დანიშვნა სასამართლო სისტემის მაღალ ემელონებში და ა.შ., “მიჩნეულია” თითქოსდა სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვან “გარანტიად”, *ჩემი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით*, სრულიად უდავოა, რომ მოსამართლის უკიდოდ დანიშვნა წარმოადგენს კონსტიტუციურად “დაკანონებულ”, მაგრამ კონსტიტუციის არსის, დანიშნულებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებას (?!).

ამიტომ ისმის კითხვა:

ნუთუ ვერ ხვდებიან სასამართლო სისტემის მაღალ ემელონებში, სახელმწიფოს (სახელმწიფოების) საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში (ხელისუფლებებში), რომ მოსამართლის უკიდოდ დანიშვნა – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უხეში დარღვევაა, *რაც იწვევს მრავალი ღირსეული ადამიანის დისკრიმინაციას (იწვევს იმ ადამიანების დისკრიმინაციას, რომლებსაც კონკურსის წესით მოსამართლეობა არ ელირსებათ, რამეთუ უნდა ელოდონ უკიდოდ დანიშნული მოსამართლეების “დაბერებას”, და ამ ლოდინში თვითონაც “დაბერდებიან”*), და რომ, *ამავე დროს*, ეს წარმოადგენს მოსამართლის კრიმინალური ქმედებების მასტიმულირებელ ფაქტორს (?!).

ამასთან დაკავშირებით, ასევე ისმის კითხვა:

ნუთუ სასამართლო სისტემის რეფორმა თვითმიზანს წარმოადგენს, რათა “რეფორმა” “საქმის კეთებად” ჩაითვალოს (?!).

ანდა ნუთუ სასამართლო სისტემის რეფორმა უნდა ემსახურებოდეს არა ხალხის ინტერესებს, არამედ მხოლოდ მოსამართლეთა “დამოუკიდებლობას”, რათა ზოგიერთმა მოსამართლემ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში “დამოუკიდებლად” და დაუსჯელად გააუბედუროს მრავალი ადამიანი, ნაცვლად იმისა, რომ ყოველი მოსამართლე იცავდეს ადამიანის კანონიერ უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ ინტერესებს (?!).

და კიდევ ერთი კითხვა:

ნუთუ გასაგები არ უნდა იყოს ყველასთვის, რომ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს მიღწევა და დამკვიდრება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ ლაპარაკი იქნება მხოლოდ მოსამართლეთა „დამოუკიდებლობაზე“, სანამ მოსამართლეს დაიცავს “იმუნიტეტი” პასუხისმგებლობისაგან, და სანამ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის შესაბამისად* არ ამოქმედდება მოსამართლეთა იურიდიული პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები, და სანამ არ მოხდება მოსამართლის პასუხისმგებლობის ბალანსირება მის უფლებებთან.

* კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ., და სხვა.

ამრიგად, თუმცა მოსამართლის დამოუკიდებლობა უდავოდ აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა უნდა იყოს მხოლოდ მოსამართლის დამოუკიდებლობა სასამართლო პროცესში და მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გარედან ჩარევისაგან.

მაგრამ სრულიად დაუშვებელია, რომ ეს იყოს მოსამართლის "დამოუკიდებლობა" – კანონისაგან, რაც კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – ქმედების უდავო მაგალითს წარმოადგენს (?!).

ფაქტობრივად კი, ადგილი აქვს სწორედ იმას, რომ ზოგიერთი (თანაც არა ერთი და ორი) მოსამართლე "დამოუკიდებლობას" იყენებს დანაშაულებრივად – "დამოუკიდებლობას" იყენებს როგორც კანონისაგან "დამოუკიდებლობას" (და ასეთი ჩემთვის ცნობილი არაერთი მაგალითი არსებობს), ხოლო ზოგიერთი უვადოდ დანიშნული მოსამართლე უფრო "გაბედულად" "იმოქმედებს" – კანონისაგან "დამოუკიდებლად" (?!).

* * *

საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშნვის პრობლემასთან დაკავშირებით 2015 წელს, ჩემს ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში აღვნიშნავდი შემდეგს:

"მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ დანიშვნა კონსტიტუციურად "დაკანონებული" ანტიკონსტიტუციური ქმედებაა, რამეთუ ეს არის, *ჯერ-ერთი*, ცივილიზებულ მსოფლიოში აღიარებული – ყველა ადამიანის კანონის წინაშე კონსტიტუციური თანასწორობის [6, მუხლი 14] უგულებელყოფის უდავო მაგალითი, და, *მეორეც*, ეს არის მოსამართლეთა სრულიად უსაფუძვლო „გაღმერთების“ დანაშაულებრივი ქმედება (?)" [13, გვ. 13].

უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 2010 წელს, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვისას მე ვწერდი:

"რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე პუნქტის რედაქციას, რომელიც კანონპროექტშია შემოთავაზებული, აქ ფრიად სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, *კანონპროექტის თანახმად* "მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება უვადოდ", რაც, *ჩემი ღრმა რწმენით*, სრულიად დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ-ერთი, რატომ უნდა დანიშნოს მოსამართლე უვადოდ, მაშინ როდესაც, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის არჩევა (*ისევე როგორც უცხოეთის მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციების მიხედვით*) ხდება მხოლოდ 5 წლის ვადით, რაც სრულიად ნორმალურია.

მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, გარდა 5 წლის ვადით არჩევისა, მას ეკრძალება ზედიზედ არჩეული იქნეს პრეზიდენტად ორჯერზე მეტად (*იმის ანალოგიურად, როგორც ეს უცხოეთის სახელმწიფოებში ხდება*), ანუ ორჯერ არჩევის შემდეგ იგივე პირს არჩევნებში მონაწილეობაც კი ეკრძალება (რაც ცალკე განსახილველ

პრობლემას წარმოადგენს და რაზედაც ჩემს მიერ გაცემულია ამომწურავი პასუხი ამავე სამეცნიერო ნაშრომში – გვ. 64-74), ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებას კანონპროექტით გვთავაზობენ უვადოდ (!).

საკვირველია, მაგრამ ფაქტია (!).

მეორეც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: მაშ რატომ უნდა ხდებოდეს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება უვადოდ?!

გასაგებია, რომ აქ ივულისხმება სასამართლო ხელისუფლებისათვის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების შექმნა, როგორც ეს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მაგრამ რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ზოგიერთი მოსამართლე ამ დამოუკიდებლობას კორუფციის მიზნებისათვის უფრო “კარგად” არ გამოიყენებს?!

მესამეც, დავუშვათ, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა უვადოდ ან დანიშნული აღმოჩნდა (*დანიშნულად ჩაითვალა*) უვადოდ ყველა მოსამართლე (*ამასთან ვივულისხმობთ, რომ ყველა მოსამართლე არის პატიოსანი და კომპეტენტური*), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მოსამართლეებს (*თუ ისინი ახალგაზრდები არიან*) თანამდებობები უნდა ეკავოთ დაახლოებით 30-40 წლის განმავლობაში (!).

ამასთანავე, დავუშვათ, რომ 5 ან 10 წლის შემდეგ მოვიდა იურისტების ახალი თაობა, რომლებიც არა მარტო უღავოდ პატიოსნები არიან, არამედ ხშირ შემთხვევაში არიან აგრეთვე ბევრად უფრო განათლებულები და კომპეტენტურები, ვიდრე ეს უვადო მოსამართლეები.

რა ქნან მათ – ამ ახალგაზრდა ღირსეულმა იურისტებმა?!

ნუთუ უნდა ელოდონ მანამ, სანამ დაბერდებიან და დაჩაჩანაკდებიან ძველი მოსამართლეები?!

შექმნილი (მოსალოდნელი) სიტუაციიდან გამომდინარე, *ჩემი ღრმა რწმენით*, ბევრად უფრო სამართლიანი და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უკეთესი იქნება, თუ, მაგალითად, ყოველ 4 ან 5 წელიწადში ერთხელ მოეწყო კონკურსები მოსამართლეების თანამდებობების დასაკავებლად, რათა ყველაზე ღირსეულმა – საუკეთესო პიროვნებებმა დაიკავეთ ეს თანამდებობები.

ამასთან, არ უნდა შეეზღუდოთ კონკურსში მონაწილეობის უფლება იმათ, ვინც რამოდენიმეჯერ უკვე იყო არჩეული (ან დანიშნული) მოსამართლედ, რადგან საუკეთესო – სწორედ კონკურსმა უნდა გამოავლინოს.

ხალხის ინტერესების უზენაესობიდან გამომდინარე, რომლის რეალიზაციასაც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუცია, *ჩემი ღრმა რწმენით*, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე პუნქტში” [14, გვ. 32-35].

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ზემოაღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი [14], რომელიც გამოქვეყნდა 2010 წელს, *ჯერ კიდევ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანამდე*, გამოცემისთანავე გადაეცა

საქართველოს მაშინდელ უმაღლეს ხელმძღვანელობას, მასში ასახული ჩემი პრინციპულად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინების მიზნით, მაგრამ ამაოდ (!).

”და ეს პრობლემა, – როგორც მე 2015 წელს აღნიშნავდი, – განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როდესაც არა პროექტის, არამედ უკვე საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად [6] მოსამართლე გამწესდება უვადოდ (!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (!).

ნუთუ ვერ აცნობიერებენ – ნუთუ არ ესმით – ამ სრულიად უსამართლო ვითომდა ”სამართლებრივი ნორმის” ავტორებს და მხარდამჭერებს, რომ თანამდებობებზე მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა – კონსტიტუციურად “დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური ქმედებაა (!)

ნუთუ შეიძლება, რომ აღნიშნული ”სამართლებრივი ნორმის” ავტორები და მხარდამჭერები იურისტებად ჩაითვალოს (?).

ნუთუ სამარცხვინო არ არის, როდესაც ნაცვლად სამართლიანობის დამკვიდრებისა, სხვათა სრულიად უსამართლო და უსაფუძვლო დანაშაულებრივ ვითომდა ”იდეებს” მხარს უჭერენ და თუთიყუშებივით იმეორებენ (!).

აღნიშნული პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრის მიზნით, საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული იქნეს 86-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ” [13, გვ. 16].

* * *

